ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №13

15 ივნისი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031816495-03, 13.06.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისია წარიმართა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, სარევიზიო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 მაისის N1205 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 10 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 906 863,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

ბიუჯეტის შემოსავლების ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მშენებლობა აღდგენა (კოდი 01 01 01) 16 500,0 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) 60,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) 259,3 ათასი ლარით; 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) 800,0 ათასი ლარით; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (კოდი 04 12) 500,0 ათასი ლარით; საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) 2 927,6 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) 286,6 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) 130,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოსათვის; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) 167,0 ათასი ლარით; ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) 500,0 ათასი ლარით. ამასთან, წარმოდგენილ პროექტი ასახულია წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) ქვეპროგრამის ასიგნებები 17,5 ათასი ლარის ოდენობით.

მცირდება:

გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 010109) 71,7 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 010114) 357,2 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 010117) 100,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 010201) 252,1 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 0201) 127,3 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 0202) 119,0 ათასი ლარით; საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 020301) 113,4 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 0205) 19,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 020901) 377,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 020910) 100,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 020911) 38,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 020912) 18,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 020916) 16,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 020917) 166,1 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 020918) 86,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 020919) 211,5 ათასი ლარით; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210) 6 500,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 0301) 136,1 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 0501) 2 849,9 ათასი ლარით, მათ შორის გლდანის რაიონში 251,7 ათასი ლარი; ნაძალადევის რაიონში 201,1 ათასი ლარი; დიდუბის რაიონში 318,4 ათასი ლარი; ჩუღურეთის რაიონში 113,4 ათასი ლარი; ვაკის რაიონში 588,1 ათასი ლარი; საბურთალოს რაიონში 537,8 ათასი ლარი; ისნის რაიონში 396,4 ათასი ლარი; სამგორის რაიონში 153,2 ათასი ლარი; კრწანისის რაიონში 261,4 ათასი ლარი; მთაწმინდის რაიონში 28,4 ათასი ლარი. სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 060101) 16,8 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06022003) 398,0 ათასი ლარით; თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070302) 8,5 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604) 35,6 ათასი ლარით; საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 1032) 11,3 ათასი ლარით. ამასთან, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ლიკვიდაციისთან დაკავშირებით მცირდება მომუშავეთა რიცხოვნობა 41 ერთეულით, ხოლო ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საშტატო ნუსხის ცვლილებასთან დაკავშირებით მცირდება მომუშავეთა რიცხოვნობა 6 ერთეულით.

ი.ნადირაძე - რამ გამოიწვია სარეზერვო ფონდის ზრდა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის შემცირება.

გ.თალაკვაძე - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის შემცირება ძირითადად მოხდა სატენდერო ეკონომიების ხარჯზე. რაც შეეხება

სარეზერვო ფონდის ზრდას, ფონდმა დიდი ხარჯები გასწია ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო.

რ.ბერაძე - პრობლემურია ავარიული სახლების გამაგრება. გამომდინარე აქედან, მერიის მხრიდან ბიუჯეტში ცვლილებების დაგეგმვის დროს უკეთესი იქნება თუ მოხდება თანხების წინასწარ შეთანხმება.

ი.ჯიშკარიანი - თანხები რომლის ეკონომიაც გაკეთდა, უმჯობესი იქნება თუ რაიონებშივე დარჩება.

გ.ტყემალაძე - მთავარი მიზეზი რის გამოც დღეს ვატარებთ კომისიების და საკრებულოს სხდომას არის ის, რომ ბიუჯეტში უნდა ავსახოთ 10 მლნ ლარი. ნაწილობრივ დაცულია წინასწარი შეთანხმება, მაგრამ მინდა მერიას ვთხოვო, რომ კომისიებთან და მაჟორიტარებთან უფრო დეტალურად იყოს წინასწარ შეთანხმებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5; თავი შეიკავა - 1; წინააღმდეგი - 0). გადაწყვიტეს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

თედო ისაკაძე